ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N GF-T-H/SSP/G-72

ქ. თბილისი

03 ნოემბერი 2014 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის/პროგრამების დირექტორის, ირმა ხონელიძის სახით და მეორეს მხრივ შპს "თეგეტა მოტორსი" (შემდგომში "მიმწოდებელი") მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით.

2. ხელშეკრულების ობიექტი და გაფომების საფუძველი.

2.1. ხელშეკრულების ობიექტია „მიმწოდებლის" მიერ აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში საბურავები ძრავიანი მსუბუქი მანქანებისათვის შესყიდვა (CPV 34351100).

2.3. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ გამყოფილი გრანტით დაფინანსებული პროგრამა - „საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით" და პროგრამა „ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის ხარისხიანი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა".

2.4. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია „სახელმწიფო შეყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტი და „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილება

3. შესყიდვის საგანი.

3.1. შესყიდვის საგანია საბურავები ძრავიანი მსუბუქი მანქანებისათვის, კერძოდ, „შემსყიდველის" მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებებისთვის საბურავების შესყიდვა ამ ხელშეკრულებაზე თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი №1);

4. საქონლის ღირებულება

4.1 საქონლის საერთო ღირებულებაა 2.060.00 (ორი ათას სამოცი) ლარი; საბურავის ფასი მოიცავს მისი მონტაჟის ღირებულებას.

4.2 ამ პუნქტის 4.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხა დაფინანსებული იქნება აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ გამყოფილი გრანტით დაფინანსებული შემდეგი პროგრამებიდან (ბიუჯეტის კატეგორია IE 5.2):

4.2.1. „საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით" პროგრამიდან - 1,296.00 (ერთი ათას ორასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.

4.2.2. „ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის ხარისხიანი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა" პროგრამიდან - 764.00 (შვიდასსამოცდათოთხი) ლარი.

4.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს (მ.შ.დღგ–ს) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად ან/და ეტაპორივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5.2 „საქონლის მიწოდების საბოლოო ვადაა 2014 წლის 30 ნოემბერი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება მიწოდებული საქონლის ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ამ ხელშეკრულების მე-15 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფი ან/და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი (უფლებამოსილი) პირი.

6.2. საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელზეც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი

6.3 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს სათანადო წესით შევსებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები, რომელშიც მითითებული უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი.

6.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 6.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა საქონლის ეტაპობრივად ან/და სრულად მიწოდების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება;

7.2. მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს, ერთჯერადად ან/და ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები) საფუძველზე, გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისთვის" საბურავების დროული მიწოდება ხელშკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლებები

9.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

9.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

9.2.1. შეწყვიტოს ხელშეკრულება საქონლის ხარისხის და/ან მოწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

15. ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსექტირების ჯგუფი ან/და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი „შემსყიდველთან".

18. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი":	„მიმწოდებელი":
სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	შპს „თეგეტა მოტორსი"
ქ. თბილისი, ასათიანის ქ. №9 ს/კ 211324351	ქ. თბილისი, აღმაშენებელის ხეივანი მე–12 კმ, №5 ს/კ 202177205
სახელმწიფო ხაზინა ბ/კ TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	სს "თიბისი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE80TB0600000024467853
ირმა ხონელიძე გენერალური დირექტორის მოადგილე/პროგრამების დირექტორი	თემურ კოზოძე გენერალური დირექტორი

დანართი №1

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № GF-T-H/SSP/G-72

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლები/ მწარმოებელი კომპანია	განზომილების ერთეული	რ–ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1.	საბურავი	215/50R17 W419 Hankook,	ცალი	4	255	1,020.00
2.	საბურავი	Falken 225/60R17 EPZ 99Q	ცალი	4	260	1,040.00
					სულ დღგ–ს ჩათვლით	2,060.00

"შემსყიდველი":

სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"

ქ.თბილისი, ასათიანის ქ. № 9
ს/კ 211324351

ირმა ხონელიძე

გენერალური დირექტორის
მოადგილე/პროგრამების დირექტორი

"მიმწოდებელი":

შპს „თეგეტა მოტორსი"

ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, №5
ს/კ 202177205

თემურ კოხოძე

გენერალური დირექტორი